გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 114

2025 წლის 12 სექტემბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს შორის 2022 წლის 26 იანვარს გაფორმებული №1 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის №26 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის №27 განკარგულების საფუძველზე, აუქციონის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს (ს/ნ 418476125) შორის 2022 წლის 26 იანვარს გაფორმდა პირობით გამოცხადებული აუქციონის №1 ხელშეკრულება, იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 003, ნაკვეთი 028; არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 19601 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.028) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში. ნაკვეთზე ხაზობრივი ნაგებობის არსებობის შემთხვევაში, ობიექტის შემძენზე გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები ხაზოვანი ნაგებობის დაცვის წესის შესახებ.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო შპს „აგრო მოლი“-ს (ს/ნ 418476125) 2023 წლის 16 ნოემბრის განცხადება, რომელშიც შპს „აგრო მოლი“ აღნიშნავდა, რომ ხელი შეეშალა სამუშაოების დასრულებაში და შესაბამისად - პირობის შესრულებაში, თუმცა, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაწყებული ჰქონდა მშენებლობისთვის საჭირო პროცედურების განხორციელება, სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე კი მიწის ნაკვეთზე განახორციელებდა ინვესტირებას არანაკლებ 300000 ლარის ოდენობით, რის შედეგადაც შეიქმნებოდა არაერთი კომერციული დანიშნულების ფართი და სამუშაო ადგილები მოსახლეობისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „აგრო მოლი“ (ს/ნ 418476125) ითხოვდა მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ 2 (ორი) წლით, რაც, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 იანვრის №4 განკარგულებით მიეცა თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი"-ს (ს/ნ 418476125) შორის 2022 წლის 26 იანვარს გაფორმებული №1 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 003, ნაკვეთი 028; არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 19601 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.028) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე, იმ პირობით, რომ ,,მყიდველის" მიერ აღნიშნულ ვადაში მიწის ნაკვეთზე განხორციელდებოდა 300000 (სამასი ათასი) ლარის ინვესტიცია, ამ ვადის გასვლისთანავე წარმოდგენილი იქნებოდა მითითებული ინვესტიციის განხორციელების დამადასტურებელი შესაბამისი აუდიტორული დასკვნა და მიწის ნაკვეთზე ხაზობრივი ნაგებობის არსებობის შემთხვევაში, ობიექტის შემძენზე გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები ხაზოვანი ნაგებობის დაცვის წესის შესახებ. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე, 2024 წლის 15 იანვარს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლს" (ს/ნ 418476125) შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა შემდეგი: „პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადაში მოხდეს მიწის ნაკვეთის ს/კ 66.46.26.003.028 განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება. ამავე ვადაში „მყიდველის" მიერ მიწის ნაკვეთზე ს.კ 66.46.26.003.028 განხორციელდეს 300 000 (სამასი ათასი) ლარის ინვესტიცია და ამ ვადის გასვლისთანავე წარმოდგენილი იქნეს მითითებული ინვესტიციის განხორციელების დამადასტურებელი შესაბამისი აუდიტორული დასკვნა. მიწის ნაკვეთზე ხაზობრივი ნაგებობის არსებობის შემთხვევაში, ობიექტის შემძენზე გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები ხაზოვანი ნაგებობის დაცვის წესის შესახებ.".

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია შპს „აგრო მოლი"-ს (ს/ნ 418476125) 2025 წლის 7 აპრილის განცხადება, რომელშიც შპს „აგრო მოლი" აღნიშნავს, რომ იგი ს/კ 66.46.26.003.002 და ს/კ 66.46.26.003.028 მიწის ნაკვეთებზე გეგმავდა შენობა-ნაგებობების განთავსებას, რომლის მშენებლობაც ესწრებოდა ვალდებულებით განსაზღვრულ ვადაში. დღევანდელი მდგომაროებით შპს „აგრო მოლი"-მ მოიზიდა ინვესტიციები უფრო ფართო და მასშტაბური პროექტის განსახორციელებლად, რომელიც წაადგება ქალაქის ურბანულ განვითარებას. აღნიშნული პროექტის განხორციელებას სჭირდება უფრო დიდი დრო, ვიდრე ეს არის განსაზღვრული ვალდებულებით. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ კომპანია მოთხოვნილი ვადის გაგრძელებისთანავე დაიწყებს მსხვილი პროექტის განხორციელებას და დაასაქმებს ასეულობით ადამიანს. აღნიშნულიდან გამომდინარე შპს „აგრო მოლი" (ს/ნ 418476125) ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ ოთხი წლით, თუმცა, ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ვადა გაგრძელდეს მხოლოდ ორი წლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი"-ს (ს/ნ 418476125) შორის 2022 წლის 26 იანვარს გაფორმებული №1 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 003, ნაკვეთი 028; არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 19601 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.028) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 6 (ექვსი) წლის ვადის

განსაზღვრის თაობაზე, იმ პირობით, რომ ,,მყიდველის" მიერ აღნიშნულ ვადაში მიწის ნაკვეთზე განხორციელდება 400000 (ოთხასი ათასი) ლარის ინვესტიცია, ამ ვადის გასვლისთანავე წარმოდგენილი იქნება მითითებული ინვესტიციის განხორციელების დამადასტურებელი შესაბამისი აუდიტორული დასკვნა და მიწის ნაკვეთზე ხაზობრივი ნაგებობის არსებობის შემთხვევაში, ობიექტის შემძენზე გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები ხაზოვანი ნაგებობის დაცვის წესის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს (ს/ნ 418476125) შორის 2022 წლის 26 იანვარს გაფორმებული №1 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 003, ნაკვეთი 028; არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 19601 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.028) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 6 (ექვსი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე, იმ პირობით, რომ ,,მყიდველის" მიერ აღნიშნულ ვადაში მიწის ნაკვეთზე განხორციელდება 400000 (ოთხასი ათასი) ლარის ინვესტიცია, ამ ვადის გასვლისთანავე წარმოდგენილი იქნება მითითებული ინვესტიციის განხორციელების დამადასტურებელი შესაბამისი აუდიტორული დასკვნა და მიწის ნაკვეთზე ხაზობრივი ნაგებობის არსებობის შემთხვევაში, ობიექტის შემძენზე გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები ხაზოვანი ნაგებობის დაცვის წესის შესახებ.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე